პრეზიდენტი
ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველ პრეზიდენტთა
პირველი მრჩეველი



ერთგული მეგობრები

უდიდესი პატივისცემაა როდესაც მხსნელს შეუძლია მოგვიხსენიოს თავის მეგობრებად. ჩვენ ვიცით, რომ მას სრულყოფილი სიყვარულით უყვარს მამაზეციერის ყველა შვილი. მაგრამ ის ვინც ერთგული იყო მასთან სამსახურში, მხსნელი მათ ანიჭებს ამ განსაკუთრებულ წოდებას. გავიხსენოთ სიტყვები მოძღვრება და აღთქმების 84 თავიდან: „და კვლავ გეუბნებით ჩემო მეგობრებო, რადგან ამიერიდან მე თქვენ გიწოდებთ მეგობრებს, საჭიროა, რომ მოგცეთ ეს მცნება რათა თქვენ იყოთ ისეთნი, როგორებიც იყვნენ ჩემი მეგობრები როდესაც ვმოგზაურობდი მათთან ერთად, რათა მექადაგა სახარება ჩემი ძალით" (მოძღვრება და აღთქმები 84:77).

როდესაც ვემსახურებით მოყვასს, ჩვენ ვხდებით მისი მეგობრები. ის არის იმ მეგობრის სრულყოფილი მაგალითი, რომელიც ჩვენ უნდა გავხდეთ. მას მხოლოდ საუკეთესო უნდა მისი მამაზეციერის შვილებისათვის. მათი ბედნიერება არის მისი ბედნიერებაც. მათ სევდას ის გრძნობს, როგორც თავის საკუთარს, რადგან მან გადაიხადა მამაზეციერის შვილების ყველა ცოდვის საფასური, აიღო თავის თავზე ყველა მათი უძლურებანი, გადაიტანა მათი დარდი და იგრძნო მათი მგზნებარე სურვილები. მისი განზრახვები არის წმინდა. ის არ ილტვის საკუთარი დიდებისათვის, არამედ მისი მამაზეციერის ბრწყინვალებისათვის. სრულყოფილი მეგობარი, იესო ქრისტე მოყვასის დახმარებისას არის სრულიად უანგარო.

ყოველმა ჩვენგანმა, რომელმაც ავიღეთ ჩვენს თავზე ნათლობის აღთქმა, ასევე დავდეთ პირობა, რომ მივყვებით მის მაგალითს, რომ გაჭირვებისას ამოუდგებით ერთმანეთს მხარში, ისე როგორც ის ამას იზავდა (იხილეთ მოსია 18:8).

შემდეგ რამოდენიმე დღეში თქვენ გექნებათ ბევრი შესაძლებლობა, რომ იყოთ მისი მეგობარი. ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც თქვენ იქნებით მტვერიან გზაზე. შესაძლებელია მაშინ, როდესაც იქნებით მატარებელში. ან კიდევ, ეკლესიაში შეკრების წინ, ადგილის ძებნის დროს. თუ თქვენ აკვირდებით და ხედავთ, რომ ვინმეს გულზე აწევს მძიმე დარდი. ეს შეიძლება იყოს მწუხარების, მარტოობის ან წყენის ტვირთი. ამის დანახვას შესძლებთ მხოლოდ თქვენ, მხოლოდ მაშინ თუ ილოცებთ სულისთვის, რომელიც გაგიხელთ თვალებს, რათა ჩაიხედოთ გულებში, იმისათვის, რომ შესძლოთ მხარში ამოუდგეთ მათ, ვინც უკვე უიმედოდ ჩამოუშვა ხელები.

თქვენი ლოცვის პასუხი შეიძლება იყოს თქვენი ძველი მეგობრის სახე, რომელიც მრავალი წელი არ გინახიათ, მაგრამ ის მოულოდნელად გვახსენდება და მის გაჭირვებას ვგრძნობთ, როგორც ჩვენს გაჭირვებად. ეს მე თავს გადამხდა, ძველმა მეგობრებმა, მომმართეს დიდი მანძილის და გასული წლების მიუხედავად, იმისათვის, რომ გაემხნევებინათ ჩემი თავი, როდესაც მხოლოდ ღმერთს შეეძლო მათთვის ეთქვა ჩემს გაჭირვებაზე.

ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება და ასეც ვიზამთ თუ ყოველთვის გვეხსომება მხსნელი. როდესაც ჩვენ მოყვასს ვანუგეშებთ და შევუმსუბუქებთ ტკივილის, ის გვანუგეშებს ჩვენც. ის მიგვიყვანს მათთან ვისაც უჭირს. ის გვაკურთხებს, რომ ვიგრძნოთ ის, რასაც გრძნობენ ისინი. როდესაც ჩვენ ვიქნებით ურყევნი მოყვასისადმი დახმარების ძალისხმევაში, ჩვენ უფრო მეტად ვიგრძნობთ ადამიანებისადმი მის სიყვარულს. ეს ჩვენ მოგვცემს სიმამაცეს და ძალას, რომ მეტი დავეხმაროთ გაჭირვებულებს რწმენით და ერთგულებით.

ამჟამად და ასევე სამარადისოდ, ჩვენ ვიგრძნობთ სიხარულს, რადგან ჩვენ ვართ მოწვეულნი მის ერთგულ მეგობრების წრეში. მე ვლოცულობ, რომ ყველანი ვიყოთ დალოცვილები ამ კურთხევით და ასევე, ისინიც, ვისაც ჩვენ ვემსახურებით.

ამ მოწოდების სწავლება

ოჯახის წევრები უფრო გააზრებულად მიიღებენ მონაწილეობას, როდესაც სთხოვთ, რომ მოძებნონ რაიმე წმინდა წერილებში ან წინასწარმეტყველების ციტატებიდან (იხილეთ *Teaching, No Greater Call* [1999], 55). სტატიის კითხვის დროს, სთხოვეთ, ოჯახის წევრებს განსაზღვრონ ის პრინციპები, რომლებიც მათ დაეხმარებათ, რომ გახდნენ ღირსეულნი უფალის მეგობრის წოდებისათვის.

წიგნში *Teaching, No Greater Call* აღნიშნულია: „თქვენ უფრო უკეთესად იქნებით სახარების სწავლებისათვის მზად თუ თქვენ შეგწევთ სიყვარული როგორც ქრისტეს. თქვენ მიიღებთ შთაგონებას იმისათვის, რათა სხვებს დაეხმაროთ, რომ უკეთესად გაიაზრონ მხსნელი და მას მიბაძონ" (12). სტატიაში აღნიშნეთ ის პრინციპები, რომლებიც დაგეხმარებათ, რომ გახდეთ უკეთესი შინამასწავლებლი. აღნიშნული თქვენ მეწყვილესთან ერთად, ლოცვით, განიხილეთ და მოფიქრეთ თუ როგორ უნდა იყოთ მათი „ერთგული მეგობრები" ვისაც ემსახურებით.

ახალგაზრდობა

ახალი ბიჭი

მეთიუ ოკაბეს მონათხრობი

როდესაც ოჯახით ახალ ადგილას, ქვეყნის სხვა მხარეში, გადავსახლდით, ძალიან მადარდებდა აზრი თუ როგორ შევეგუებოდი იქაურობას. სამეურვეოში სადაც ჩვენ გადავედით იყო ახალგაზრდების დიდი ჯგუფი, მაგრამ ჩემთვის ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ვიქნებოდი „ახალი ბიჭი." ამაში ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ახალ სკოლაში უნდა წავსულიყავი და პირველი, რაც მომივიდა თავში ეს იყო: „სადილის დროს ვისთან დავჯდები?" შეიძლება ვინმე მოვძებნო ეკლესიიდან, მაგრამ არ მინდა ვინმეს დაუპატიჟებლად მივუჯდე მაგიდასთან, მითუმეტეს არ ვიცი შეიძლება არც მოისურვონ, რომ მე საერთოდ მათთან ერთად ვიყო!

სკოლის პირველი დღე უსასრულოდ გაიწელა. ბოლოს, როგორც იქნა დაირეკა ზარი და მოვიდა სადილის დრო. ნელა შევედი სასადილოში, მე ლოცვით შევსთხოვე მამაზეციერს, რომ დამხმარებოდა და ნაცნობი მომეძებნა. შევათვალიერე სასადილო, რომ იქნებ ვინმე მეცნო. არავინ. ასე, რომ სასადილოს შორეულ კუთხეში მივუჯექი მაგიდას და ვისაუზმე.

მოგვიანებით იმავე დღეს, მათემატიკის გაკვეთილზე, მე დავინახე ნაცნობი სახე. დევიდი, იმ დილით სემინარზე უკვე ნანახი მყავდა. მან მთხოვა ჩემი გაკვეთილების ცხრილი და აღმოაჩნდა, რომ ჩვენ ორივეს ერთ დროს გვქონდა სადილის დრო. მან მკითხა: „დღეს სად იჯექი სადილის დროს?".

მე ვუპასუხე: „სასადილოს შორეულ კუთხეში".

„კარგი, ხვალ ჩემთან დაჯდები სადილის დროს," მითხრა მან.

მე მადლიერი ვარ, მოსიყვარულე მამაზეციერის, რომელმაც იცის ყოველი ჩვენგანის გაჭირვება და პასუხობს ყველა ჩვენს ლოცვას. მე ასევე მადლიერი ვარ, იმ ადამიანისადმი, რომელმაც გამომიწოდა მეგობრობის ხელი. უბრალო რამეს, როგორც არის მოპატიჟება, იმასაც კი შეუძლია შეცვალოს ყველაფერი.

იესო ქრისტე ჩვენი სრულყოფილი მეგობარი

პრეზიდენტმა აირინგმა სთქვა, რომ იესო არის ჩვენი სრულყოფილი მეგობარი. ქვევით მოყვანილია თუ როგორ გამოხატავს იესო მის სრულყოფილ მეგობრობას ჩვენს მიმართ.

მას ჩვენთვის უნდა ყველაზე საუკეთესო.

როდესაც ჩვენ ბედნიერები ვართ, ისიც ბედნიერია.

ის გრძნობს ჩვენს დარდს, როდესაც მოწყენილები ვართ ან გულნატკენი.

იგი დაიტანჯა ჩვენი ცოდვებისათვის, რათა ჩვენ მამაზეციერთან შევძლოთ დაბრუნება.

იესოს მეგობრად ყოფნა

პრეზიდენტმა აირინგმა სთქვა, რომ ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ იესოს მეგობრები, მისთვის, მოყვასისადმი მეგობრობით. დახატეთ ნახატები, რომლებზეც აღწერილია ქვევით მოყვანილი ოთხი გზა, თუ როგორ შეგიძლიათ იყოთ მეგობრები.

თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ვინმეს, ვინც დამწუხრებულია.

თქვენ შეგიძლიათ იყოთ მეგობარი ადამიანის რომელიც არის მარტოხელა.

შეგიძლიათ დაპატიჟოთ ვინმე, რომ მოვიდეს ეკლესიაში.

თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ გაიხსენოთ იესო.

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *First Presidency Message, July 2010.* Georgian. 09367 131

ოჯახების განმტკიცება

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შესძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ შვების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

წმინდა წერილებიდან:

დაბადება 18:19; მოსია 4:15; მოძღვრება და აღთქმები 93:40; მოსე 6:55–58.

გამოვიყენოთ ყოველი შესაძლებლობა, რომ გავძლიერდეთ

ყოველი ჩვენგანი არის განსხვავებულ ოჯახურ პირობებში. ზოგ ოჯახში დედა მამა და ბავშვები ერთად ცხოვრობენ. ზოგი შვილები უკვე ცალკე ცხოვრობენ. ეკლესიის მრავალი წევრი არის მარტოხელა, ზოგი მათგანი კი, მარტოხელა მშობელი. სხვები კი, დაქვრივებულნი და მარტო ცხოვრობენ.

„მიუხედავად იმისა თუ როგორია ჩვენი ოჯახი, ყოველ ჩვენგანს შეუძლია გააძლიეროს საკუთარი ოჯახი ან დაეხმაროს სხვათა ოჯახს განმტკიცებში.

„ერთხელ ჩემ დიშვილთან ოჯახში დავრჩი სტუმრად. იმ საღამოს სანამ ბავშვების ძილის დრო მოვიდოდა, ჩვენ შევიკრიბეთ, ოჯახური საღამოსთვის და წმინდა წერილების წასაკითხავად. ოჯახის მამამ, მათ მოუთხრო ლეჰის ოჯახის ამბავი და როგორ ასწავლიდა ის თავის შვილებს იმას, რომ მჭიდროდ ჩასჭიდებოდნენ ხელით რკინის მოაჯირს, რაც ნიშნავს ღმერთის სიტყვას. რკინის მოაჯირზე მჭიდროდ ჩაჭიდება, მათ ხიფათს აარიდებდა და მიიყვანდა მათ სიხარულისა და ბედნიერებისაკენ. თუ ისინი რკინის მოაჯირს ხელს გაუშვებდნენ, მათ ჭუჭყიანი მდინარის წყალში გადავარდნის საშიშროება დაემუქრებოდათ.

„იმისათვის რომ ბავშვებს ეს თვალსაჩინოდ ენახათ, დედამისმა განასახიერა რკინის მოაჯირი რომელზეც ისინი იყვნენ ჩაჭიდებულნი და მამამ კი ეშმაკი, რომელიც ცდილობდა ბავშვების ამ უსაფრთხო და ბედნიერი ადგილიდან მოცილებას. ბავშვებს უყვარდათ ეს მოთხრობა და ისწავლეს თუ როგორი მნიშვნელოვანია რკინის მოაჯირისათვის ხელის მჭიდროდ ჩაჭიდება. როდესაც წაიკითხეს წმინდა წერილები დადგა ოჯახური ლოცვის დრო....

„წმინდა წერილები, საოჯახო საღამო და ოჯახური ლოცვა გააძლიერებს ოჯახებს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება ოჯახის გასაძლიერებლად და ერთმანეთის მხარდასაჭერად იმისათვის, რომ ვიყოთ სწორ გზაზე.”[1]

ბარბარა ტომპსონი, შვების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტის მეორე მრჩეველი.

ჩვენი ისტორიიდან

თავიდანვე შვების საზოგადოებას ჰქონდა ოჯახების განმტკიცების მოვალეობა. წინასწარმეტყველი იოსები ადრინდელ შვების საზოგადოების შეკრებებზე ასწავლიდა დებს, „როდესაც სახლში მიდიხართ, არასოდეს მიმართოთ თქვენს ქმრებს უხეში სიტყვებით, დაე ამიერიდან სიკეთით, ლმობიერებით და სიყვარულით იყოს დამშვენებული თქვენი საქმენი.”[2]

1914 წელს, პრეზიდენტმა იოსებ ფ. სმითმა შვების საზოგადოების დებს უთხრა: „სადაც არ უნდა იყოს

უცოდინრობა ან კიდევ უთანხმოება ოჯახურ საკითხებში ... ყოველთვის, იქვე ახლოს, არის ეს ორგანიზაცია, ნიჭიერი ადამიანებით, რომლებიც შთაგონებით და თავგამოდებით მზად არიან, რომ გაუზიარონ და მითითებებით ასწავლონ ეს მნიშვნელოვანი მოვალეობები.”[3]

მენიშვნები

1 ბარბარა ტომპსონი, “His Arm Is Sufficient,” *Liahona,* May 2009, 84.

2. *Teachings of the Presidents of the Church: Joseph F. Smith* (2007), 482.

3. *Teachings of the Presidents of the Church: Joseph F. Smith* (1998), 186.

რა შეგვიძლია გავაკეთოთ?

1. ოჯახის გასაძლიერებლად, რომელ იდეებს გაუზიარებთ თქვენს დებს? როდესაც შეისწავლით მათ პირად მდგომარეობას, ფიქრებში სული გიკარნახებთ იდეებს.

2. ამ თვეში, რომელი პრიორიტეტების შეცვლა შეგიძლიათ იმისათვის, რომ უფრო მეტად განამტკიცოთ თქვენი ოჯახი?

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.reliefsociety.lds.org.

© 2010 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია ა.შ.შ.-ში. ინგლისურად დამტკიცებულია 6/09. თარგმანი დამტკიცებულია: 6/09. თარგმანი *Visiting Teaching Message, July 2010.* Georgian. 09367 131